

**„დაურ კოვეს პასუხი საქართველოს სამშვიდობო ინიციატივაზე“**

ოკუპირებული აფხაზეთის საგარეო უწყების ხელმძღვანელი საქართველოს პრემიერ-მინისტრის, გიორგი კვირიკაშვილის, სამშვიდობო ინიციატივას „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ გამოეხმაურა.

დე-ფაქტო საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაში ვკითხულობთ, „აფხაზეთზე ზეწოლის ყველა რესურსის ამოწურვის შემდეგ საქართველომ კიდევ ერთხელ გადაწყვიტა აჩვენოს მსოფლიოს ჩვენი ქვეყნის მიმართებაში მეგობრული განწყობის რაღაც მსგავსი და საკუთარი ნამდვილი ზრახვები აღნიშნული ინიციატივების მიღმა დამალოს“,

მან ასევე მოუწოდა საქართველოს ხელისუფლებას, საკუთარი პოლიტიკური ამბიციებისთვის ტყუილების თქმა შეწყვიტოს.

„აფხაზეთი დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფოა. უკეთესი მომავლისკენ ერთადერთი ნაბიჯი არის საქართველოს მიერ აფხაზეთის რესპუბლიკის აღიარება და ჩვენს ქვეყნებს შორის სრულყოფილი სახელმწიფოთაშორისო დიალოგის დამყარება სტაბილურობისა და მომავალი თაობების განვითარებისთვის. ამ პროცესს ალტერნატივა არ აქვს“

---

04.04.2018	იხ.	რუსულენოვან	ვებგვერდზე
<a href="http://mfaapsny.org/ru/allnews/news/statements_speeches/kommentariy-daura-kove-o-novoy-mirnoy-initsiative-pravitelstva-gruzii-shag-k-luchshemu-budushchemu/">http://mfaapsny.org/ru/allnews/news/statements_speeches/kommentariy-daura-kove-o-novoy-mirnoy-initsiative-pravitelstva-gruzii-shag-k-luchshemu-budushchemu/</a>			

**„რაულ ხაჯიმბამ საკურორტო სეზონისთვის მზადებასთან დაკავშირებით თათბირი ჩაატარა“**

4 აპრილს, ქ. სოხუმში, ოკუპირებული აფხაზეთის პრეზიდენტმა, 2018 წლის საკურორტო სეზონთან დაკავშირებით, გაფართოებული თათბირი ჩაატარა.

თათბირის გახსნისას რაულ ხაჯიმბამ აღნიშნა, რომ ტურისტული სფეროს წარმატებით ფუნქციონირებისთვის აუცილებელია სტრატეგიის შემუშავება. მისი თქმით, ტურიზმი უნდა გახდეს ე.წ. სახელმწიფოს სიცოცხლისუნარიანობის და მოქალაქეების საქმიანობის მნიშვნელოვან ნაწილად და უნდა ემსახურებოდეს ეკონომიკური და სოციალური სფეროს ეფექტურ განვითარებას.

დე-ფაქტო პრეზიდენტმა ისაუბრა პრობლემებზეც. მისი თქმით, შემოსავლების დაფარვა უარყოფითად მოქმედებს ბიუჯეტზე და ამიტომ ე.წ. პარლამენტში შესულია-სპეციალური გადასახადის, პატენტის, საკურორტო მოსაკრებელის შესახებ კანონპროექტები.

მოსალოდნელი რისკების თავიდან ასაცილებლად, რაულ ხაჯიმბამ, დე-ფაქტო უსაფრთხოების სახელმწიფო სამსახურს, საბაჟო კომიტეტს და მიგრაციის სამსახურს დაავალა განახორციელონ მდ. ფსოუს საზღვრის კონტროლი.

კერძო სექტორში განთავსებული ტურისტული ობიექტების აღრიცხვა და კონტროლი დაეკისრა ე.წ. მინისტრთა კაბინეტს და დე-ფაქტო პრეზიდენტის ადმინისტრაციის ეკონომიკის სამმართველოს.

**ე.წ. პრეზიდენტმა დაამატა, რომ საქართველოს ტერიტორიიდან შემოდის სხვადასხვა საქონელი, რაც უარყოფითად აისახება ე.წ. რესპუბლიკის იმიჯზე და ბიუჯეტზე.**

სიტყვით გამოსვლისას, რაულ ხაჯიმბამ, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო უსაფრთხოების საკითხებს. მისი თქმით, რუსეთში ტარდება მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატი, რაც გამოიწვევს უცხოელი ტურისტების რაოდენობის მკვეთრ ზრდას და ოკუპირებული აფხაზეთი მზად უნდა იყოს მათ დასახვედრად.

საკურორტო სეზონისთვის მოსამზადებელ პერიოდში ჩატარებული სამუშაოების შესახებ ინფორმაცია, თათბირის მონაწილეებს, მიაწოდეს დე-ფაქტო შს მინისტრმა გარი არშბამ, კურორტებისა და ტურიზმის მინისტრმა ავთანდილ გარცვიამ და ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილემ მაკტინა ლაკერბაიამ.

---

04.04.2018	ვრცლად	იხ.	რუსულენოვან	ვებგვერდზე
<a href="http://presidentofabkhazia.org/about/info/news/?ELEMENT_ID=7577">http://presidentofabkhazia.org/about/info/news/?ELEMENT_ID=7577</a>				

**„აფხაზეთის დელეგაცია თურქეთში „Hestourex“-ის საერთაშორისო გამოფენაზე იმყოფებოდა“**

ოკუპირებული აფხაზეთის დელეგაციამ ჯანდაცვის ე.წ. მინისტრის ხელმძღვანელობით მონაწილეობა მიიღო სამედიცინო, სპორტულ და ალტერნატიული ტურიზმის სფეროში მსოფლიო გამოფენა-კონგრესში „Hestourex“, რომელიც თურქეთის ქ. ანტალიაში ჩატარდა 2018 წლის 5-8 აპრილს.

ფორუმის ფარგლებში ე.წ. დელეგაციამ შეხვედრები გამართა უცხო ქვეყნების მონაწილეებთან, სადაც განიხილეს ოკუპირებულ აფხაზეთში სამედიცინო ტურიზმის შესაძლებლობები და პერსპექტივები.

დე-ფაქტო ჯანდაცვის მინისტრის, თამაზ წახნაკიას, თქმით, „თურქეთში ვიზიტის მიმდინარეობისას მეგზურობას გვიწევდნენ თურქეთში აფხაზური კულტურული ცენტრების ფედერაციის ხელმძღვანელები. თურქეთში აფხაზური დიასპორის ხელშეწყობით ჩატარდა შეხვედრები სტამბოლის სამ წამყვან სამედიცინო ცენტრში-მარმარას უნივერსიტეტის კლინიკაში, სტამბოლის ონკოლოგიურ ცენტრში და MedicalPark-ის ცენტრში. ამ შეხვედრებზე მიღწეულ იქნა ურთიერთთანამშრომლობის შესახებ წინასწარი შეთანხმება, კერძოდ, აფხაზი ექიმებისთვის ტრენინგების და მასტერ-კლასების ჩატარების თაობაზე“

---

10.04.18 ვრცლად რუსულენოვან ვებგვერდზე <http://minzdravra.org/index.php/ru/kontakty>

11.04.2018